სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N1 საჯარო სკოლის უცხო ენების კათედრის სხდომის

ოქმი N4

20.05.2022წ.

სოფელი ქვედა საზანო

სხდომის დაწყების დრო : 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

კათედრის წევრები: ნინო კერესელიძე, თამარ ჩუბინიძე, ქრისტინე ვაშაკიძე, ნადეჟდა ბუცხრიკიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით ვერ ესწრებოდა: 0

სხდომა გახსნა კათედრის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ჩუბინიძემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე-4 მასწავლებელი

წინააღმდეგი- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:

1. **კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრების განხილვა.**
2. **მეორე სემესტრის შეჯამება, მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვა;**

საკითხი 1. კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრების განხილვა.

მომხსენებელი: კათედრის თავჯდომარე თამარ ჩუბინიძე.

მოისმინეს: კათედრის თავჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი. მან დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის“ მე-7 მუხლის მეორე პუნქტის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კათედრის ფუნქციაა: ,,კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება“, ,,ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის“. მისი მოსაზრებით, ურთიერთდასწრება პედაგოგებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ აქტუალური პრობლემები, შეიმუშაონ გადაჭრის გზები და მიიღონ მეტი გამოცდილება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებას.

კათედრის სხდომაზე განხილულ იქნა კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად მიღებული განხილვა-შეფასებები, რა დროსაც გამოიკვეთა პრობლემები, რომელთა გადაჭრისა და აღმოფხვრისათვის უნდა დაიგეგმოს მომავალში განსახორციელებელი ღონისძიებები.

კათედრის წევრებმა ასევე განიხილეს დირექტორის მოადგილისა და კათედრის თავმჯდომარის მონიტორინგის შედეგები. კათედრის თავმჯდომარის აზრით, სასურველია უფრო აქტიურად მოხდეს დამატებითი სასწავლო რესურსების მოძიება და ეფექტურად გამოყენება, რიგ შემთხვევებში უმჯობესი იქნება გაკვეთილებზე გამოყენებული იყოს თვალსაჩინოებები, ასევე შეფასების სისტემის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, უმჯობესი იქნებოდა მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების რუბრიკა. თავმჯდომარის მოსაზრებით ურთიერთმონიტორინგი პედაგოგებს აძლევს საშუალებას გამოავლინონ აქტუალური პრობლემები, შეიმუშავონ გადაჭრის გზები და მიიღონ მეტი გამოცდილება. ყოველივე ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებას.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს: ნინო კერესელიძემ გამოთქვა აზრი, გაგრძელდეს თანამშრომლობითი დასწრებები კომპლექსური დავალებების ეტაპებზე. ნადეჟდა ბუცხრიკიძემ აღნიშნა, რომ მასწავლებელთა ხშირი ურთიერთდასწრების დაგეგმვა და განხორციელება პედაგოგებს დაეხმარება აღმოფხვრან ის პრობლემები, რომელიც აქტიურად ხვდებათ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. მასწავლებლები შეძლებენ გაიუმჯობესონ საკუთარი პრაქტიკა და ასევე ეს დაეხმარება მათ უკეთესი შედეგის მიღწევაში.

კათედრის თავჯდომარემ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისთვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -4

მოწინააღმდეგე-0

კენჭისყრის შედეგათ კათედრამ დაადგინა:

ცნობად იქნას მიღებული კათედრის თავმჯდომარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრებასთან დაკავშირებით.

საკითხი 2. მეორე სემესტრის შეჯამება, მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვა;

მომხსენებელი: კათედრის თავჯდომარე თამარ ჩუბინიძე.

მოისმინეს: კათედრის თავმჯდომარემ გააცნო ინფორმაცია მოსწავლეთა მეორე სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ. დეტალურად ისაუბრა კლასების მიხედვით მოსწავლეთა შეფასებებზე, მისი თქმით 2021-22 სასწავლო წლის მეორე სემესტრში გამოიკვეთა ის რომ შემაჯამებელი სამუშაოები პირველ სემესტრში უფრო მაღალი შედეგების მაჩვენებელია ვიდრე მეორეში, რაც მიუთითებს იმაზე რომ უფრო ბევრი სამუშაოა გასაკეთებელი მასწავლებლების მხრიდან და საჭიროა მეტი ღონისძიებები მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. პირველ სემესტრში მოსწავლეთა ოლიმპიადებში მონაწილეობა დადებითად აისახა მათ აკადემიურ შედეგებზეც. სასურველი იქნება დაიგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები, მეტი პროექტები, სადაც აქტიურად ჩაერთვებიან მოსწავლეები. ოლიმპიადებსა და პროექტებში მონაწილეობა

ზრდის მათ მოტივაციას, წარმატებით დაძლიონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწირებული მიღწევები. გარდა ამისა, მოსწავლეთათვის საჭირო უნარების გასაუმჯობესებლად აუცილებელია აქტივობების მინიმალური რაოდენობის შესრულება თითოეული საგნისათვის. მათ შორის, პრეზენტაციების, პროექტების, ინტეგრირებული გაკვეთილების.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს: ნინო კერესელიძემ და ნადეჟდა ბუცხრიკიძემ აღნიშნეს რომ სხვადასხვა აქტივაბაში მოსწავლეთა მონაწილეობა, მათი მონდომება და დაინტერესება დადებითად აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. დადებითად შეაფასეს მთლიანად პირველ და მეორე სემესტრში კათედრის მიერ გაწეული მუშაობა, ისაობრეს ონლაინ სწავლებით გამოწვეულ ხარვეზებზე და მათ შედეგებზე.

კათედრის თავჯდომარემ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისთვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -4

მოწინააღმდეგე-0

კენჭისყრის შედეგათ კათედრამ დაადგინა:

ცნობად იქნას მიღებული მოსწავლეთა შედეგებთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია და დაისახოს სამომავლო გეგმები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებისთ სხდომა დაიხურა.

სხდომის დასრულების დრო : 14:00 სთ.

კათედრის თავჯდომარე / თ. ჩუბინიძე/

მდივანი **/ ნ. კერესელიძე/**

/ნ.ბუცხრიკიძე/

/ქ. ვაშაკიძე/